ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომაზე

განხილულ საკითხთა ნუსხა

1. ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს ლოგოს პრეზენტაცია;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის 2020 წლის ბიუჯეტში გენდერული კუთხით საბიუჯეტო ასიგნებების ზრდაზე რეკომენდაციის გაწევა;

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს

კომისიის სხდომის

ოქმი N2

ქ.ქობულეთი 26 სექტემბერი 2019 წელი

სხდომა დაიწყო: 14-00 საათზე

დამთავრდა: 15-20 საათზე

სხდომას უძღვებოდა: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ლია შაქარიშვილი;

სხდომას ესწრებოდა: ნარგიზ რომანაძე, ლელა ვერულიძე, დავით მჭედლიშვილი, დავით ვერულიძე, დავით წულუკიძე, მამია ჟორდანია, ავთანდილ ანანიძე, იოსებ ჟღენტი, ქეთინო ქათამაძე, გურამ აბაშიძე, ნანა კალანდაძე, პაატა ცინარიძე, აზა ბოლქვაძე, ნინო ნოღაიდელი, ნათია გოგიტიძის წარმომადგენელი - ირაკლი კირჩხელი;

სხდომას არ ესწრებოდა: ნათია თხილაიშვილი, რომან მოწყობილი, გიორგი გოგიტიძე, ვიტალი ქარცივაძე, ნაილე ლაზიშვილი, გია მჟავანაძე, ნარგიზ ჯინჭარაძე,

სხდომას ესწრებოდნენ: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში - კობა ნაკაიძე;

საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის II რანგის უფროსი საორგანიზაციო და საქმისწარმოების საკითხებში- დავით ჯინჭარაძე;

სხდომას ესწრებოდა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში მარიამ ცეცხლაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს ლოგოს პრეზენტაცია;

   (მომხსენებელი ლ. შაქარიშვილი)

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის 2020 წლის ბიუჯეტში გენდერული კუთხით საბიუჯეტო ასიგნებების ზრდაზე რეკომენდაციის გაწევა;

   (მომხსენებელი ლ. შაქარიშვილი)

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ლია შაქარიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის წარმოდგენილი საკითხები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

სხდომის დაწყებამდე ლია შაქარიშვილმა აღნიშნა, რომ პირველი საკითხის გაშუქება, დღის წესრიგით გათვალისიწნებული თანმიმდევრობით, ტექნიკური გაუმართაობის გამო, პრეზენტაციის სახით, ამ მომენტისთვის არ მოხერხდება, თუ იქნება საბჭოს თანხმობა, ვისაუბროთ მეორე საკითხზე და შემდგომ დავუბრუნდეთ პირველს.

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ლია შაქარიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი წინადადება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

1.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის 2020 წლის ბიუჯეტში გენდერული კუთხით საბიუჯეტო ასიგნებების ზრდაზე რეკომენდაციის გაწევა - მოხენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს თავმჯდომარე ლია შაქარიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ერთგვარ მოკლე ექსკურსს გააკეთებდა აჭარაში, მეზობელ მუნიციპალიტეტებში, გენდერულ ასპექტში გათვალისწინებულ ფინანსურ ასიგნებებზე. 2019 წლის ბიუჯეტში - ხულოს მუნიციპალიტეტში გათვალისწინებულია 8000 ლარი, შუახევში - 13000 ქედაში - 5300, ხელვაჩაურში - 5000 ლარი და ქობულეთში 1000 ლარი; მიუხედავად იმისა, რომ ქობულეთის მოცემულობა ფინანსური თვალსაზრისით არ არის იდეალური, რთულია ამ თანხის ოპტიმალურად გამოყენება, თუმცა მერიის შესაბამისი სამსახურის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მაინც საკმაოდ კარგადაა დაგეგმილი. 3 ტრენინგია გათვალისწინებული ნოემბერში. მოგეხსენებათ ნოემბრის თვე მნიშვნელოვანია იმ 10 დღიანი დეკადით, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრას ეძღვნება. სწორედ ამის ფარგლებში გაიმართება აღნიშნული ტრენინგები. ლია შაქარიშვილი დაინტერესდა ეძღვნება მხოლოდ ძალადობის თემას, თუ გენდერული თანასწორობის ასპექტების კუთხითაც იქნება? პოლიტიკური თანასწორობას თუ მოიცავს?

აზა ბოლქვაძემ უპასუხა, რომ დაგეგმილი ტრენინგები ყველა იმ თემას მოიცავს, რაც აღინიშნა.

ლია შაქარიშვილმა აღნიშნა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას აუცილებლად გასათვალისწინებელია მეტი თანხა, რომელიც გაზრდის აქტივობების რაოდენობას.

ნინო ნოღაიდელმა განაცხადა, რომ მეტი ხელშეწყობა სჭირდება იმ ადამინებს, ვისაც თავისუფლად გადაადგილება უჭირს. ხომ არ არის შესაძლებელი ამაში მუნიციპალური რესურსები ჩაირთოს.

დავით ვერულიძე - სატრანსპორტო პოლიტიკის შეცვლა გვინდა მუნიციპალიტეტში და ამისთვის მინიმუმ 5 ტრანსპორტია საჭირო. დიდი ფინანასური რესურსი უნდა გამოიყოს. ამ ეტაპზე ჩვენ არ გვყავს მსგავსი ტიპის ტექნიკა, გვიხდება თხოვნა, დაქირავება, არცერთი ტრანსპორტი არ იქნება შეძენილი თუ არ იქნება ადაპტირებულზე მორგებული.

ნინო ნოღაიდელი - მესმის თქვენი მხარდაჭერა, მაგრამ თუ იქნება მეტი ხელშეწყობა აქტიურობას არ შევწყვეტ, არცერთ ტაქსს არ აქვს ადაპტირებული პროგრამა. ზღვაზე მისასვლელი ბილეკები არ გვაქვს შშმ პირებს.

ლია შაქარიშვილი - საზოგადოებრივი ტრანსპორტი აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს ყველა თანამედროვე მოთხოვნას და მისი გამოყენება უნდა შეეძოს შშმ პირს.

დავით წულუკიძემ აღნიშნა ზღვაზე გადასასვლელიც აქვს ბათუმს და ზღვამდე მისასვლელი. უნდა იყოს ადაპტირებული სასტუმროებიც, მხოლოდ გადასასვლელების მოწყობა არ არის საკმარისი.

დავით ვერულიძე - სამომავლოდ ვგეგმავთ ბილიკების მოწყობას და აუცილებლად განხორციელდება. სტანდარტების დაცვით მოეწყობა და ზღვაზე მისვლას შეძლებენ შშმ პირები. გენდერული თანასწორობის საბჭომ წარმოადგინეთ რეკომენდაციები დასაბუთებული და მოხდება თანხების გათვალისწინება. პროგრამულ ბიუჯეტში გაწერილი უნდა იყოს შედეგი და მიზანი მოთხოვნილი თანხის.

ლია შაქარიშვილი - შუახევის მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტის გენდერულ ჭრილში ასიგნებების ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციასთან პარტნიორობით განახორციელა საგრანტო პროგრამა - 8000 ლარი, მცირე მეწარმეობის მსურველი ქალებისთვის. მომავალ საბიუჯეტო წელს, მინიმუმ, უნდა გავუთანაბრდეთ აჭარის დანარჩენ მუნიციპალიტეტებს. რეკომენდაციას ვუწევთ მერიას, რომ გაიზარდოს საბიუჯეტო ასიგნება და შესაბამისად, დაიგეგმოს გენდერული მიმართულების კუთხით მეტი აქტივობა.

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

2. ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს ლოგოს პრეზენტაცია - მოხენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს თავმჯდომარე ლია შაქარიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს ლოგოს შინაარსზე მუშაობისას მთავარი აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ ის განსხვავებული უნდა ყოფილიყო სხვა სტანდარტული ლოგოებისგან, რომლებიც მხოლოდ სიმბოლოების დონეზე მიანიშნებენ სქესზე. ლოგოს ფონს წარმოადგენს მზე და ზღვა, რომელიც ქობულეთის მნიშვნელოვანი ატრიბუტებია და ვფიქრობთ, ლოგოზე მისი ასახვა, ერთის მხრივ, ხაზს უსვამს ინდივიდუალობასა და იმ კონკრეტულ ლოკაციას, სადაც ეს გენდერული საბჭო მოქმედებს და მეორე მხრივ, უფრო შთამბეჭდავს ხდის თვითონ ლოგოს. უკანა, ზედა მხარეს რკალში ასახულია წარწერა „ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭო“. ამ ფონის წინ გამოსახულია თანასწორ პოზიციაზე მდგომი ქალი და მამაკაცი, რომლებიც კეთილგანწყობილი ღიმილით ხელს ართმევენ ერთმანეთს. ამ შინაარსის სცენა ასახავს ერთმანეთის შესაძლებლობებისადმი სოლიდარულად და არა მეტოქეობით განწყობილ ქალსა და მამაკაცს, რომლებიც მუნიციპალიტეტის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორი პასუხისმგებლობით არიან ჩართული.

ლოგომ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ლელა ვერულიძემ აღნიშნა, რომ მართალია რთულია ახალი პროდუქტის შექმნა და კრიტიკა მარტივია, თუმცა ლოგო ზედმეტად ანიმაციურია, მაგას სჯობია ნამდვილი ადამიანები იყოს ფოტოზე. ხოლო ნანა კალანდაძემ აღნიშნა, რომ ლოგო ძალიან ბანალურია და დახვეწა-დამუშავება სჭირდება. აზა ბოლქვაძის განაცხადით კი, ლოგო სხვადასხვა ასოციაციებს იწვევს და პაემანის აღმნიშნავი შეხვედრა უფროა, ვიდრე საქმიანი.

დავით წულუკიძე - ლოგოს პერსონაჟებს ეროვნული ტანისამოსი ეცვათ, ან თუნდაც აჭარული ტრადიციული სამოსი. გავუსვათ ხაზი ჩვენს თვითმყოფადობას.

ქეთინო ქათამაძე - ვფიქრობ წარმოდგენილი ლოგო ძალიან კარგია და ამდენ განსჯას არ საჭიროებს.

ლია შაქარიშვილი - ემოცია არ უნდა გამოვაცალოთ ამ ყველაფერს, სტანდარტული და უემოციო ლოგო, პირიქით მიუღებულია, ის ჩვენი მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს ლოგოა და არა განზოგადებული. კარგია ასეთი აქტიურობა, რომ გამოიწვია ლოგომ, თუმცა უმჯობესი იქნებოდა დამუშავების პროცესში გამოჩენილიყო ასეთი ინტერესი.

ლია შაქარიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ სხდომაზე იმყოფება ნინო ნოღაიდელი, რომელიც გახლავთ გენდერული საბჭოს მიერ გამოცხადებული კონკურსის ,,ეფექტური სლოგანი ნარჩენების მართვის თემაზე“ გამარჯვებული. კონკურსის სირთულეში მოყვანამდე დარჩენილია ერთი დეტალი - გამარჯვებული სლოგანის ბანერზე დატანა და მისი განთავსება ქალაქის ცენტრალურ, თვალსაჩნო ადგილას. ამ კონკურსში ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციების - კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების გაერთიანებისა (CENN) და USAID-ის მოთხოვნა გახლავთ, რომ იქ, სადაც შეიძლება განთავსდეს ბანერი ნარჩენების მართვის თემაზე მიძღვნილი შინაარსით, აუცილებელია სეპარაციის სტენდები უკვე არსებობდეს. სწორედ ამიტომ, ისევ CENN-ს ვთხოვეთ დაეწყო მოლაპარაკებები ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან. გაფორმდა მემორანდუმი და უახლოეს პერიოდში, ქობულეთში დაიდგმება სეპარაციის სტენდები, რასაც მოჰყვება კონკურსში გამარჯვებული ნინო ნოღაიდელის სლოგანის ბანერის დადგმაც. გვახარებს ის ფაქტი, რომ გენდერული საბჭოს მიერ ჩატარებული კონკურსს უკვე ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენა - სეპარაციის სტენდები მოყვა.

მამია ჟორდანიამ გააკეთა სამართლებრივი შეფასება-ლოგოს იურიდიული გამართულობისთვის საჭიროა გამოიცეს საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება. ამის შემდეგ ლოგოს გამოყენება გენდერული საბჭოს სახელით შესაძლებელია სხვადასხვა დანიშნულებით.

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული

თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ლ. შაქარიშვილი